კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
COMPETITION AND STATE PROCUREMENT AGENCY

ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2013–2014 წლების კონსოლიდირებული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

2013 წელი 18 აპრილი

სარჩევი

1. შესყიდვის ობიექტი და შემსყიდველი ორგანიზაციების წრე.....3

2. ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2013–2014 წლების კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის პირობები.....3

3. ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2013–2014 წლების კონსოლიდირებულ ტენდერში წინადადების წარდგენის ვადები და სხვა პირობები.....6

4. ფიჭური სატელეფონო მომსახურების ძირითადი პირობები და ტარიფები (დანართი N1).....7

5. „ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 26 დეკემბრის N18 ბრძანება (დანართი N2).....12

1. შესყიდვის ობიექტი და შემსყიდველი ორგანიზაციების წრე

1.1 წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ფიჭური სატელეფონო მომსახურების, კერძოდ, GSM სტანდარტის მობილური კავშირის უზრუნველყოფის მომსახურება (შემდგომში - ფიჭური სატელეფონო მომსახურება). აბონენტთა საორიენტაციო რაოდენობა შეადგენს **300 000. აქედან შემსყიდველი ორგანიზაციების თანამშრომლების (შემდგომში - თანამშრომელი) საორიენტაციო რაოდენობა არის 100 000, ხოლო მათი ოჯახის წევრების ან/და სხვა პირების (შემდგომში - არათანამშრომელი) საორიენტაციო რაოდენობა არის 200 000.**

1.2 ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2013–2014 წლების კონსოლიდირებული ტენდერის (შემდგომში – კონსოლიდირებული ტენდერი) მოქმედება სავალდებულოდ ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) რეგისტრირებულ ყველა შემსყიდველ ორგანიზაციაზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებისა და უცხო ქვეყანაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების, აგრეთვე თავდაცვის ატაშეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის მიერ ფიჭური სატელეფონო მომსახურების შესყიდვაზე. როუმინგული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის თავისებურებები განისაზღვრება 1.3 პუნქტით.

1.3 შემსყიდველი ორგანიზაცია არ არის ვალდებული როუმინგული მომსახურება შეისყიდოს მხოლოდ კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლისაგან იმ შემთხვევაში, თუ სხვა მიმწოდებლისაგან როუმინგული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებულ პირობებზე უკეთესი პირობებით. როუმინგული მომსახურების სხვა მიმწოდებლისაგან შესყიდვის შემთხვევაში, დაუშვებელია როუმინგული მომსახურების გარდა სხვა მომსახურებით სარგებლობა.

1.4 გამარჯვებული მიმწოდებელი ვალდებულია ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (შემდგომში - ხელშეკრულება) დადოს 1.2 პუნქტით გათვალისწინებულ ყველა შემსყიდველ ორგანიზაციასთან.

2. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის პირობები

2.1 კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად დაიშვება მხოლოდ სისტემაში მიმწოდებლად რეგისტრირებული მომხმარებელი.

2.2 კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ იმ მიმწოდებელს, რომლის დაფარვის არეალი მოიცავს საქართველოს ტერიტორიის (გარდა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ოკუპირებული ტერიტორიებისა) გეოგრაფიული არეალის არანაკლებ 95%, ხოლო დასახლებული ტერიტორიის არანაკლებ 98%.

2.3 მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებასთან წარდგენილი უნდა იქნეს 2.2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის მიერ.

2.4 მიმწოდებელმა სატენდერო წინადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს სერვის-ცენტრების შესახებ ინფორმაცია და მათი ადგილმდებარეობა (მისამართი).

2.5 გამარჯვებულ მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს ბლექბერის სერვისი (BES, BIS).

2.6 გამარჯვებული მიმწოდებელი ვალდებულია მისი გამარჯვებულად გამოვლენისთანავე შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართვის საფუძველზე, დაიწყოს მასთან ხელშეკრულების გაფორმებისა და ნომრის პორტირების პროცედურები (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) და დაასრულოს აღნიშნული პროცედურები არაუგვიანეს 2013 წლის 1 მაისისა. თავის მხრივ, შემსყიდველმა ორგანიზაციამ კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენისთანავე უნდა უზრუნველყოს მასთან ხელშეკრულების გაფორმების პროცედურების დაწყება და მისთვის დასაპორტირებელი ნომრების მიწოდება (ასეთის საჭიროების შემთხვევაში).

2.7 გამარჯვებული მიმწოდებელი კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობით ავტომატურად ეთანხმება ,,ფიჭური სატელეფონო მომსახურების ძირითად პირობებსა და ტარიფებს" (შემდგომში - დანართი N1).

2.7.1 მიმწოდებელმა სატენდერო წინადადებასთან ერთად სისტემაში უნდა ატვირთოს:

ა) საერთაშორისო გამავალი ზარების ტარიფები ფიქსირებულ ნომრებზე;

ბ) საერთაშორისო გამავალი ზარების ტარიფები მობილურ ნომრებზე;

გ) როუმინგის შემთხვევაში გამავალი ზარების ტარიფები;

დ) როუმინგის შემთხვევაში შემომავალი ზარების ტარიფები;

ე) SMS-ის საგამონაკლისო საერთაშორისო ტარიფები.

2.7.2 კონსოლიდირებულ ტენდერში შემოსვლით მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მის მიერ სისტემაში ატვირთული 2.7.1 პუნქტის „ა"-„ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ტარიფები იქნება უფრო დაბალი, ვიდრე მისი საუკეთესო კორპორატიული წინადადება.

2.7.3 კონსოლიდირებულ ტენდერში შემოსვლით მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მის მიერ სისტემაში ატვირთული 2.7.1 პუნქტის „ა"-„ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ტარიფები თითოეული პოზიციის მიხედვით არ იქნება უფრო მაღალი კონსოლიდირებულ ტენდერში (**CON130000007)** მონაწილე მიმწოდებლების მიერ შემოთავაზებულ ტარიფებზე შესაბამისი პოზიციების მიხედვით, გარდა კონსოლიდირებული ტენდერში 2.7.1 პუნქტის „ა"-„ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ტარიფებში ახალი ქვეყნის/ქალაქის/ოპერატორის (პოზიციის) არსებობის შემთხვევისა.

2.8 გამარჯვებული მიმწოდებელი ვალდებულია ფიჭური სატელეფონო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, აბონენტთა მომსახურების ოპერატორთან დაკავშირების დროს, მოლოდინის რეჟიმში პრიორიტეტი მიანიჭოს შემსყიდველ ორგანიზაციას.

2.9 კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობისათვის მიმწოდებელმა უნდა გადაიხადოს კონსოლიდირებულ ტენდერში სატენდერო წინადადების წარდგენის საფასური – 5 000 ლარი;

2.10 კონსოლიდირებულ ტენდერში წინადადების წარდგენის საფასური გადახდილ უნდა იქნეს სისტემის მეშვეობით.

2.11 გამარჯვებული მიმწოდებლის სატენდერო წინადადება ძალაშია 2014 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

2.12 კონსოლიდირებული ტენდერი ჩატარდება სისტემის მეშვეობით და ელექტრონული ვაჭრობა გაიმართება მხოლოდ დანართი N1-ის 3.3 პუნქტში მითითებულ ტარიფზე *(პროვაიდერი ქსელის გარეთ სხვა მობილურ ოპერატორებთან დაკავშირება).* ამავე პუნქტის დამატებითი პირობა (ზარის წამოწყების ღირებულება) ისევე, როგორც დანართი N1-ის ყველა სხვა დანარჩენი პუნქტით გათვალისწინებული ტარიფები არ ექვემდებარება ელექტრონულ ვაჭრობას და მიმწოდებელი კონსოლიდირებულ ტენდერში შემოსვლით, ავტომატურად ეთანხმება დანართი N1-ში მითითებულ ტარიფებს. ამავდროულად, მიმწოდებელი არ არის შეზღუდული თავის სატენდერო წინადადებაში

მიუთითოს ან შემდგომში დააწესოს უფრო დაბალი ტარიფები, ვიდრე ეს მოცემულია დანართი N1-ის შესაბამის პუნქტებში. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამისი ტარიფების შეცვლისას, სატენდერო კომისია უფლებამოსილია მოსთხოვოს გამარჯვებულ მიმწოდებელს დანართი N1-ის შესაბამის პუნქტებში მითითებული ტარიფების ცვლილება.

2.12.1 კონსოლიდირებულ ტენდერში დანართი N1-ის 3.3 პუნქტში მითითებული ტარიფის საწყისი სავაჭრო ფასია (შემდგომში - ფასი) 0.07 ლარი (7 თეთრი). მინიმალური ბიჯის ოდენობა შეადგენს 0.01 ლარს (1 თეთრი), ხოლო მინიმალური ფასი - 0 თეთრი.

2.12.2 კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულად ჩაითვლება ის მიმწოდებელი, რომელიც დააფიქსირებს ყველაზე დაბალ ფასს.

2.12.3 კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილე ორი ან მეტი მიმწოდებლის მიერ თანაბარი ფასის დაფიქსირების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება იმ მიმწოდებელს, რომელმაც სისტემის მეშვეობით წარმოადგინა სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N1-ის 7.3-7.8 პუნქტებში მითითებული ინტერნეტ პაკეტების ტარიფების ყველაზე მცირე ჯამური ღირებულება.

2.12.4 კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილე ორი ან მეტი მიმწოდებლის მიერ სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N1-ის 7.3-7.8 პუნქტებში მითითებული ინტერნეტ პაკეტების ტარიფების თანაბარი ჯამური ღირებულების მითითების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება იმ მიმწოდებელს, რომელმაც პირველმა წარადგინა ფასი წამის სიზუსტით. ამ შემთხვევაში მიმწოდებლების რიგითობას მითითებული კრიტერიუმის მიხედვით ავტომატურად განსაზღვრავს სისტემა. მიმწოდებლისთვის სისტემაში ხელმისაწვდომია ინფორმაცია ფასის წარდგენის დროის შესახებ წუთის სიზუსტით. მიმწოდებელს უფლება აქვს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსგან (შემდგომში – სააგენტო) მოითხოვოს ფასის წარდგენის დროის შესახებ ინფორმაცია წამის სიზუსტით დამატებითი რაუნდების დასრულების შემდეგ. სააგენტო ვალდებულია აღნიშნული მოთხოვნის საფუძველზე დაინტერესებულ მიმწოდებელს გონივრულ ვადაში გააცნოს აღნიშნული ინფორმაცია.

2.13 გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს 2013–2014 წლების ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიის (შემდგომში – სატენდერო კომისია) ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

2.14 თითოეულმა შემსყიდველმა ორგანიზაციამ ხელშეკრულების დანართის სახით უნდა წარმოადგინოს თანამშრომლების ნომრები და არათანამშრომლების ნომრები.

2.15 შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული თანამშრომელთა ფიჭური სატელეფონო მომსახურებით სარგებლობის ლიმიტები გამარჯვებულ მიმწოდებელსა და სატენდერო კომისიას წარედგინება ურთიერთშეთანხმებული წესით.

2.16 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში და უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. მიმდინარე თვეს გაწეული მომსახურების დაანგარიშება და შესაბამისი ანგარიშფაქტურის შემსყიდველი ორგანიზაციისთვის წარდგენა უნდა მოხდეს ყოველი მომდევნო თვის პირველ 10 რიცხვამდე.

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშ-ფაქტურის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დადასტურების შემთხვევაში, ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად გაწეული მომსახურების მიხედვით გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

2.17 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველ ორგანიზაციასა და გამარჯვებულ მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2.18 ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესით“ ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის თავისებურებათა გათვალისწინებით.

2.19 ხელშეკრულებაში მითითებული ნომრების რაოდენობა, ასევე შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული თანამშრომელთა ფიჭური სატელეფონო მომსახურების ლიმიტები საორიენტაციო ხასიათისაა და შესაძლებელია შეიცვალოს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

2.20 კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის მიღებით, მიმწოდებლები კისრულობენ ვალდებულებას, არ შეაფერხონ და ხელი შეუწყონ შესაბამისი კორპორატიული ნომრების პორტირების პროცესს (ასეთის საჭიროების შემთხვევაში).

2.21 მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, გამარჯვებული მიმწოდებელი ვალდებულია არაუგვიანეს 2013 წლის 1 მაისისა აღმოფხვრას საკუთარ ქსელში არსებული ხარვეზები.

2.2 გამარჯვებულმა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ უწყვეტი ზარის ხანგრძლივობა იყოს არანაკლებ 30 წუთი.

3. კონსოლიდირებულ ტენდერში წინადადების წარდგენის ვადები და სხვა პირობები

3.1 კონსოლიდირებულ ტენდერში წინადადებების მიღება მთავრდება 2013 წლის 25 აპრილს. სატენდერო წინადადების განხილვა სატენდერო კომისიის მიერ ხდება გონივრულ ვადაში და შედეგები ქვეყნდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

3.2 სატენდერო კომისიის სახელზე კონსოლიდირებულ ტენდერთან დაკავშირებული შეტყობინებები შესაძლებელია გაიგზავნოს შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართზე: mobile2013@spa.gov.ge.

3.3 ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2014 წლის 31 იანვარს.

ფიჭური სატელეფონო მომსახურების ძირითადი პირობები და ტარიფები				
N	**სერვისი**	**ერთეული**	**ტარიფი (ლარში)**	**დამატებითი პირობა**
1	**სიმ–ბარათის ღირებულება**		0	
1.1	ორნომრიანი სიმ–ბარათის ღირებულება		0	
1.2	სიმ–ბარათის შეცვლა/აღდგენის ღირებულება		0	
2	**ფიქსირებული გადასახადი (VPN) თანამშრომლის შემთხვევაში**	ერთ ნომერზე	0	
2.1	**ფიქსირებული გადასახადი (VPN) არათანამშრომლის შემთხვევაში**	ერთ ნომერზე	1	
3. სასაუბრო ტარიფები				
3.1	კორპორატიული ნომრების საუბრები კორპორატიული ქსელის შიგნით	ერთი წუთი	0	
3.2	კორპორატიული ნომრების საუბრები პროვაიდერი კომპანიის ქსელში	ერთი წუთი	0	ზარის წამოწყების ღირებულებაა 0.05 ლარი
3.3	კორპორატიული ნომრებისათვის სასაუბრო ტარიფები პროვაიდერი ქსელის გარეთ სხვა მობილური ოპერატორების აბონენტებთან	ერთი წუთი	მაქსიმუმ 0.07 ელექტრონული ვაჭრობის საგანი	ზარის წამოწყების ღირებულებაა 0.05 ლარი

3.4	კორპორატიული ნომრებისათვის სასაუბრო ტარიფები Beeline-ის აბონენტებთან	ერთი წუთი	0.11	
3.5	კორპორატიული ნომრებისათვის სასაუბრო ტარიფები Silknet S1-ის აბონენტებთან	ერთი წუთი	0.148	
3.6	კორპორატიული ნომრებისათვის სასაუბრო ტარიფები ფიქსირებული ქსელების აბონენტებთან	ერთი წუთი	0.07	ზარის წამოწყების ღირებულებაა 0,05 ლარი
4. მოკლეტექსტური შეტყობინებები (SMS) ტარიფები				
4.1	SMS-ის ტარიფი კორპორატიულ ქსელში	ერთი SMS	0	
4.2	SMS-ის ტარიფი პროვაიდერი კომპანიის ქსელში	ერთი SMS	0.01	
4.3	SMS-ის ტარიფი სხვა მობილურ ოპერატორების (მათ შორის საერთაშორისო) აბონენტებთან	ერთი SMS	0.01	გარდა მიმწოდებლის სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა
4.4	ჯგუფური SMS (BULK SMS)	ერთი SMS	0.0025	კონსოლიდირებულად 1 მილიონი და მეტი SMS სატენდერო წინადადების მოქმედების პერიოდში
4.5	SMS მდივანი	ერთი დღე	0.05	
5. როუმინგული მომსახურების პირობები				
5.1	როუმინგის აქტივაცია		0	
5.2	როუმინგის დეპოზიტის ოდენობა		0	

5.3	როუმინგის შემომავალი ზარი	ერთი წუთი	0.5	გარდა მიმწოდებლის სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა
6. მულტიმედიის ტარიფები				
6.1	GPRS-ის აქტივაცია		0	
6.2	GPRS	ერთი MB	0.2	
6.3	MMS სერვისის აქტივაცია		0	
6.4	MMS-ის გზავნილი	ერთი გზავნილი	0.05	
6.5	MMS-ის გზავნილი საზღვარგარეთ	ერთი გზავნილი	1	
6.6	ვიდეოზარისა და მობილური ტელევიზიის სერვისის აქტივაცია		0	
6.7	ვიდეოზარი	ერთი წუთი	0.24	
6.8	მობილური ტელევიზია	ერთი წუთი	0.1	
	7. ინტერნეტ მომსახურების პირობები			
7.1	ინტერნეტის ჩართვა		0	
7.2	1 MB		0.2	3.5 მბ/წ - 21 მბ/წ
	მოცულობითი პაკეტები			
7.3	30 MB		3	
7.4	50 MB		5	
7.5	500 MB		7.5	
7.6	1GB		10	
7.7	5GB		25	

7.8	15GB		45	
7.9	7.3-7.8 პუნქტებში მითითებული ინტერნეტ პაკეტების ტარიფების ჯამური ღირებულება			
7.10	SMS-ის ან ვებპორტალის მეშვეობით შესაძლებელი უნდა იყოს ინტერნეტ პაკეტის ამოწურვის კონტროლი			ვადის ამოწურვისას, ახალი პაკეტის შეძენის შემთხვევაში, დარჩენილი (ძველი) ლიმიტის გააქტიურება (გარდა პორტირების შემთხვევისა)
8. სხვა მომსახურების პირობები				
8.1	დაფარული ნომრის სერვისის აქტივაცია		0	
8.2	გამოტოვებული ზარების შეტყობინების აქტივაცია		0	
8.3	ნომრის ამომცნობი სერვისის აქტივაცია		0	
8.4	ბალანსის შემოწმება		0	
8.5	დეტალური ამონაბეჭდი		0	
8.6	დამრგვალება		1 წამი	
8.7	ნომრის გადაფორმება ორგანიზაციიდან კერძო პირზე და პირიქით		0	
9. GPRS VPN მომსახურება				
მოცულობითი პაკეტები				
9.1	150 MB		3	
9.2	500 MB		5	
9.3	1 GB		7	

10. დამატებითი მომსახურებები და მოწყობილობები				
10.1	ბლექბერის სერვისი BIS	ერთი თვე	14.5	
10.2	ბლექბერის სერვისი BES	ერთი თვე	45	

„ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 26 დეკემბრის N18 ბრძანება

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარის

ბრძანება

№18 26 დეკემბერი 2012წ.

ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20^2 მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს თანდართული ,,ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები“.
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ტ. ურჯუმელაშვილი

ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები (შემდგომში – წესი) შემუშავებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) 20^2 მუხლის საფუძველზე

და განსაზღვრავს GSM სტანდარტის ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის (შემდგომში – კონსოლიდირებული ტენდერი) ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს, წესსა და პირობებს, ასევე კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებელთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2. ეს წესი ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ GSM სტანდარტის ფიჭური სატელეფონო მომსახურების (შემდგომში – მობილური კავშირი) სახელმწიფო შესყიდვაზე.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მობილური კავშირის სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება მხოლოდ კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებისა და უცხო ქვეყანაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების, აგრეთვე თავდაცვის ატაშეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის მიერ ფიჭური სატელეფონო მომსახურების შესყიდვაზე.

4. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა და ამ მიზნებისათვის ქმნის სატენდერო კომისიას.

5. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც კანონში, თუ კონსოლიდირებული ტენდერის თავისებურებათა გათვალისწინებით ამ წესით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 2. ინტერესთა კონფლიქტი

სატენდერო წინადადების განხილვასა და კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით გამარჯვებული მიმწოდებლის გამოვლენაზე ვრცელდება კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული დებულებები.

მუხლი 3. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარება

1. კონსოლიდირებული ტენდერი ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (შემდგომში – სისტემა) მეშვეობით.

2. კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის შემუშავებას და მისი სისტემაში განთავსებას უზრუნველყოფს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

3. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისათვის საჭირო ორგანიზაციული პროცედურების განხორციელებას უზრუნველყოფს სააგენტო.

4. კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის გამოვლენა ხდება სატენდერო კომისიის მიერ.

5. კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პროცედურების გამჭვირვალობა და მიმწოდებლების მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომა.

6. სატენდერო წინადადების შეფასება და გამარჯვებული მიმწოდებლის გამოვლენა ხდება ამ წესისა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პრინციპების დაცვით.

მუხლი 4. სატენდერო მოთხოვნები და სატენდერო დოკუმენტაცია

1. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ სისტემაში მიმწოდებლად რეგისტრირებულ მომხმარებელს, რომელსაც გადახდილი აქვს კანონის 19[1] მუხლით დადგენილი სატენდერო წინადადების წარდგენის საფასური (შემდგომში – საფასური) – 5000 ლარი.

2. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის კრიტერიუმები, სატენდერო წინადადების წარდგენის ვადა, აგრეთვე კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებისათვის აუცილებელი სხვა მოთხოვნები და საკითხები განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით, კონსოლიდირებული ტენდერის თავისებურებათა გათვალისწინებით.

მუხლი 5. სატენდერო წინადადების წარდგენა

1. კონსოლიდირებულ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობა იმართება სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი ერთეულის ფასზე.

2. სატენდერო წინადადების წარდგენით მიმწოდებელი ავტომატურად ეთანხმება ამ წესითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით.

4. კონსოლიდირებულ ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია არ გამოიყენება. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებელი კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობით კისრულობს ვალდებულებას, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმის სახით გადაიხადოს შესასყიდი მობილური კავშირის საორიენტაციო ღირებულების 5%-ის ოდენობის თანხა იმ შემთხვევაში, თუ იგი უარს განაცხადებს მობილური კავშირის მიწოდებაზე სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციისათვის. ჯარიმის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სატენდერო კომისია შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართვის საფუძველზე. აღნიშნული ვალდებულება მოქმედებს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადით.

მუხლი 6. გამარჯვებული მომწოდებელის გამოვლენა

1. კონსოლიდირებული ტენდერი ტარდება და გამარჯვებული მიმწოდებლის გამოვლენა ხდება მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესის შესაბამისად, კონსოლიდირებული ტენდერის თავისებურებათა გათვალისწინებით.

2. კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულად ჩაითვლება ის მიმწოდებელი, რომელიც ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დააფიქსირებს ყველაზე დაბალ ფასს.

3. კონსოლიდირებულ ტენდერთან დაკავშირებული სატენდერო კომისიის ნებისმიერი გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერს სატენდერო კომისიის ყველა დამსწრე წევრი.

მუხლი 7. გამარჯვებულ მიმწოდებელთან ხელშეკრულების დადება

1. კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულმა შემსყიდველმა ორგანიზაციებმა მობილური კავშირის სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება (შემდგომში – ხელშეკრულება) უნდა დადონ მხოლოდ კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულ მიმწოდებელთან, გარდა ამ მუხლის მე–3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

2. გამარჯვებული მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულება დადოს სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ ნებისმიერ შემსყიდველ ორგანიზაციასთან.

3. შემსყიდველი ორგანიზაცია სხვა მიმწოდებლისაგან მობილური კავშირის შესყიდვაზე თანხმობის მიღების მიზნით, მიმართავს სატენდერო კომისიას შესაბამისი დასაბუთებით. სატენდერო კომისიის თანხმობის შემთხვევაში, მობილური კავშირის შესყიდვა ხორციელდება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე–3 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

5. სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ რეკომენდაციის მიღების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგად გამარჯვებულ მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) მობილური კავშირის საორიენტაციო ღირებულების 5% ოდენობით.

6. ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სხვა მიმწოდებლისგან მობილური კავშირის შესყიდვის საკითხი წყდება სატენდერო კომისიის მიერ, ამ მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით.

7. სატენდერო კომისიის სახელზე კონსოლიდირებულ ტენდერთან დაკავშირებული შეტყობინებები შესაძლებელია გაიგზავნოს სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე. აღნიშნული შეტყობინება ასევე უნდა გაიგზავნოს სატენდერო კომისიის სახელზე ოფიციალური წერილობითი ფორმით.

მუხლი 8. გარდამავალი დებულებები

1. ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2013 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის გამოვლენის შემდეგ, ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2013 წლის კონსოლიდირებულ ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციები ვალდებული არიან შეწყვიტონ მოქმედი ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები და ასეთი ხელშეკრულებები დადონ ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2013 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებელთან.

2. იმ შემთხვევაში, თუ მოქმედი ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება ითვალისწინებს ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2013 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლზე უკეთეს პირობებს, მოქმედი ხელშეკრულების გაგრძელების მიზანშეწონილობის საკითხს წყვეტს ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2013 წლის კონსოლიდირებულ ტენდერის სატენდერო კომისია.